საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV- 45331100

ქ. თბილისი

2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1. შესყიდვის ობიექტი:

1.1. შესყიდვის ობიექტია ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის (სულხან ცინცაძის N63 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის V კორპუსის გათბობის სისტემის მოწყობა) შესყიდვა. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფასების ცხრილი - დანართი N2).

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

2.1. შესასრულებელი სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ს.ცინცაძის N63, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

3. შესყიდვის ობიექტის პირობები:

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული მომსახურების შესყიდვა უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3.2 ცენტრალური გათბობის სისტემის საგარანტიო ვადა შეადგენს მინიმუმ 2 წელს.

3.3 პრეტენდენტ კომპანიას უნდა გააჩნდეს ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება (სისტემის მიწოდება-მონტაჟი) ბოლო 2 წელი. (2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 ივნისამდე)

3.4. პრეტენდენტმა კომპანიამ უნდა მოახდინოს არსებული მილგაყვანილობისა და რადიატორების დემონტაჟი და უზრუნველყოს პირველ სართულზე დასაწყობება.

3.5. სახარჯო მასალებში არ უნდა იყოს გამოყენებული მეორადი ნაწილები.

3.6. ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე სასურველია ობიექტის წინასწარი დათვალიერება მონტაჟის სირთულის დასადგენად.

3.7. პრეტენდენტი კომპანიის მიერ სამუშაოების დამთავრების შემდეგ აუცილებელია დაზიანებული კედლების, ჭერის და იატაკის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა.

4. ფასის გაანგარიშების წესი და ანგარიშსწორების პირობები:

4.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში.

4.3. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

4.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

4.5. მიმწოდებელთან ეტაპობრივი ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

4.5. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტროული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უნდა მოხდეს პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

5. პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

5.1. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით.

ბ) ფასების ცხრილი დანართი N2-ის მიხედვით.

გ) შესყიდვის ობიექტის პირობებზე თანხმობის მითითება.

დ) ინფორმაცია ანალოგიური საქმიანობის შესახებ ბოლო 2 წელი. (2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 ივნისამდე)

5.2 მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

6. დამატებიტი ინფორმაცია:

6.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსი, ლადო გუდიაშვილის ქ. №7. საკონტაქტო პირი: ნონა შუბითიძე ტელ: 297 16 02- 08 (135) ელ–ფოსტა: nshubitidze@nplg.gov.ge

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

დანართი №2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის (სულხან ცინცაძის N63 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის V კორპუსის გათბობის სისტემის მოწყობა) შესყიდვა.

სულხან ცინცაძის ქ №63 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მე–5 კორპუსის გათბობის სისტემის მოწყობის ტექნიკური დავალება

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომ.	რაოდენ.	ერთ.ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4		
1	რადიატორი პანელური PKKP22 600X2000 (4 გ/მ)	ც	2.00		
2	რადიატორი პანელური PKKP22 600X600 (50,4 გ/მ)	ც	84.00		
3	იატაკზე დასადგმელი ფანკოილი 3,5 კვ. გათბობა (მართვის პულტით)	ც	6.00		
4	იატაკზე დასადგმელი ფანკოილი 6,8 კვ. გათბობა (მართვის პულტით)	ც	3.00		
5	ვენტილი რადიატორის მიწოდების დ-1/2"	ც	86.00		
6	ვენტილი რადიატორის უკუ სვლის დ-1/2"	ც	86.00		
7	ვენტილი რადიატორის მიწოდების დ-3/4"	ც	9.00		
8	ვენტილი რადიატორის უკუ სვლის დ-3/4"	ც	9.00		
9	ქურო პ/პ მილები **D20-1/2"** გარე ხრახნით	ც	172.00		
10	ქურო პ/პ მილები **D25-3/4"** გარე ხრახნით	ც	18.00		
11	პ/პ მინაბოჭკოვანი მილები **D20*2,8**	გრმ	280.00		
12	პ/პ მინაბოჭკოვანი მილები **D25*4,2**	გრმ	386.00		
13	პ/პ მინაბოჭკოვანი მილები **D32*5,4**	გრმ	84.00		
14	პ/პ მინაბოჭკოვანი მილები **D40*6,2**	გრმ	124.00		
15	მუხლი 90გრ პ/პ მილისათვის **D20**	ცალი	720.00		

16	მუხლი 90გრ პ/პ მილისათვის **D25**	ცალი	80.00		
17	მუხლი 90გრ პ/პ მილისათვის **D32**	ცალი	20.00		
18	მუხლი 90გრ პ/პ მილისათვის **D40**	ცალი	10.00		
19	სამკაპი პ/პ მილისათვის **D25x25x25**	ცალი	174.00		
20	სამკაპი პ/პ მილისათვის **D32x32x32**	ცალი	22.00		
21	სამკაპი პ/პ მილისათვის **D40x40x40**	ცალი	18.00		
22	გადამყვანი **D25X20**	ცალი	172.00		
23	გადამყვანი **D32X20**	ცალი	12.00		
24	გადამყვანი **D32X25**	ცალი	14.00		
25	გადამყვანი **D40X32**	ცალი	12.00		
26	ქურო პ/პ მილები **D20*2,8**	ცალი	40.00		
27	ქურო პ/პ მილები **D25*4,2**	ცალი	84.00		
28	ქურო პ/პ მილები **D32*5,4**	ცალი	22.00		
29	ქურო პ/პ მილები **D40*6,2**	ცალი	32.00		
30	კაუჩუკის თბოიზოლაცია **D32*5,4 D25*4,2 D20*2,8** პ/პ მილებისათვის	გრმ	534.00		
31	ფუმი დიდი	ცალი	20.00		
32	გადახურვის კონსტრუქციაში ხვრელების მოწყობა და ამოვსება ქვიშა–ცემენტის ხსნარით	ცალი	24.00		
33	იატაკის ამონგრევა მილების გასაყვანად და ამოვსება ქვიშა–ცემენტის ხსნარით	მ	144.00		
34	სადენის გაყვანა 3*2,5 მმ	მ	150.00		
35	გოფრირებული მილაკების მოწყობა სადენის გასაყვანად	მ	150.00		
	ჯამი				
	ზედნადები ხარჯები				
	ჯამი				
	გეგმიური დაგროვება (მოგება)				
	ჯამი				
	გაუთვალისწინებელი ხარჯები				
	ჯამი				
	დ.ღ.გ.	**18 %**			
	მთლიანი ჯამი				

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №

ქ. თბილისი ____ _____ 2016 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“,“კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. “შემსყიდველი“ – ორგანიზაცია,რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. “მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. “შესყიდვის საგანი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული საგანი. ერთის მხრივ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის

გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის SPA…. ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის (სულხან ცინცაძის N63 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის V კორპუსის გათბობის სისტემის მოწყობა) შესყიდვა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს – შემდგომში შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. სტანდარტები

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესყიდვა უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

5.2 შესასრულებელი სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს მინიმუმ 2 წელს.

5.3 სახარჯო მასალებში არ უნდა იყოს გამოყენებული მეორადი ნაწილები.

5.4 საქონლის მოწოდების შემდეგ 2 წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია აღმოფხვრას წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) საკუთარი ხარჯებით შემსყიდველის მხრიდან მიღებული შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მიწოდებული საქონლის ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების შემოწმებას და მიღება–ჩაბარებას შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული _____

6.5. შემსყიდველის მხრიდან შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება მიეცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განსაზღვრულ პირებს.

7.მხარეთა უფლება– მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- შემსყიდველს შეუსრულოს სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 120 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით

10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი

11. ფორს– მაჟორი

11.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე

მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13.3. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

13.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

14 . მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი

ს/კ 0107, ლადო გუდიაშვილის ქ. №7

საიდენტიფიკაციო კოდი: 203845018

სახელმწიფო ხაზინა

ანგ. №200122900

გენერალური დირექტორი

_____

გიორგი კეკელიძე

მიმწოდებელი